

27 აგვისტო, 2014

**NDI-ის კვლევა: ქართული ოცნება კვლავ რჩება წამყვან პოლიტიკურ ძალად, ხოლო მოქალაქეებს  
საკმარისი ინფორმაცია არ აქვთ მაჟორიტარი დეპუტატების საქმიანობაზე**

**თბილისი** - კოალიცია ქართული ოცნება რჩება წამყვან პოლიტიკურ ძალად, ხოლო მისი ლიდერების მოწონების მაჩვენებელი კვლავ მაღალია. შეკითხვაზე რომელი პარტია დგას თქვენს შეხედულებებთან ყველაზე ახლოს, რესპონდენტების 42 პროცენტმა ქართული ოცნება დაასახელა. თუმცა აღსანიშნავია, რომ მიმდინარე კვლევის მიხედვით, თითქმის ყველა პოლიტიკური ლიდერის მოწონების მაჩვენებელი საგრძნობლად შემცირდა.

თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია ყველაზე მოწონებადი პოლიტიკური ლიდერია ქვეყანაში და მისი მოწონების მაჩვენებელი 60 პროცენტს შეადგენს. პრემიერ მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი კოალიციის შემდეგი ყველაზე მოწონებადი ლიდერია და მისი მოწონების მაჩვენებელი 54 პროცენტია, მას მოსდევს პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის მოწონების მაჩვენებელი – 51 პროცენტი.

ყველაზე მოწონებადი ოპოზიციური ლიდერია საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი დავით ბაქრაძე, რომლის მოწონების მაჩვენებელი, პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის მსგავსად, 48 პროცენტია. ყველაზე მოწონებადი ქალი ლიდერი კი იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანია, რომლის მოწონების მაჩვენებელი 44 პროცენტია. თბილისის მერი დავით ნარმანიას მოწონების მაჩვენებელი 45 პროცენტია.

გამოკითხულთა 82 პროცენტი მიიჩნევს, რომ ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია ძლიერი ოპოზიციური პარტიის არსებობა. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა გამოკითხულთა 51 პროცენტმა ყველაზე ძლიერ ოპოზიციურ პარტიად დაასახელა. მას მოსდევს ნინო ბურჯანაძე–ერთიანი ოპოზიცია 5 პროცენტით და საქართველოს პატრიოტთა ალიანსი – 4 პროცენტი.

შეკითხვაზე, რას მოელოთ თქვენი მაჟორიტარი დეპუტატისგან, გამოკითხულთა 50 პროცენტი ამბობს, რომ მაჟორიტარი დეპუტატი იმას გააკეთებს, რასაც პარტია ეტყვის. გამოკითხულთა მხოლოდ 35 პროცენტი მიიჩნევს, რომ მაჟორიტარი დეპუტატი ამომრჩეველთა ინტერესს დაიცავს. რესპონდენტების 55 პროცენტმა არ იცის, თუ ვინ არის მისი მაჟორიტარი დეპუტატი, ხოლო 53 პროცენტმა არ იცის, აქვს თუ არა მის მაჟორიტარ დეპუტატს ბიურო რაიონში.

„აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა ნახევარზე მეტმა არ იცის, თუ ვინ არის მისი მაჟორიტარი დეპუტატი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ არჩეულმა თანამდებობის პირებმა უნდა გააქტიურონ ურთიერთობა ამომრჩეველთან და მოახდინონ ფოკუსირება გამოკითხულთა მიერ კვლევაში დასახელებულ ეროვნული და ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებზე“ – ამბობს NDI საქართველოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, კრისტინა უილფორი.

აღნიშნული შედეგები წარმოადგენს საზოგადოებრივი აზრის კვლევის - „საზოგადოების განწყობა საქართველოში“, - შემადგენელ ნაწილს, რომლის მიხედვითაც მოსახლეობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხებია სამუშაო ადგილები, ტერიტორიული მთლიანობა და სიღარიბე. კვლევა ამა წლის 23 ივლისიდან 7 აგვისტოს პერიოდში, საქართველოს მასშტაბით 3,338 პირისპირ ინტერვიუს წარმომადგენლობითი შერჩევის საფუძველზე ქართულენოვან მოსახლეობას შორის ჩატარდა. მასში ასახულია მოსახლეობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები, ასევე მოსახლეობის დამოკიდებულება დემოკრატიის, რეფორმების და საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის საკითხების მიმართ. კვლევაში საშუალო ცდომილების ზღვარი არის +/- 2.9%.

NDI-ის კვლევებს აფინანსებს შვედეთის საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების სააგენტო (Sida) და ატარებს CRRC-საქართველო.

**-დასასრული-**

NDI არის არამომგებიანი ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს დემოკრატიის განმტკიცებისა და გავრცელებისთვის მსოფლიოში. NDI მუშაობს დემოკრატებთან მსოფლიოს ყველა რეგიონში, რათა გააძლიეროს პოლიტიკური და სამოქალაქო ორგანიზაციები, ხელი შეუწყოს არჩევნების სამართლიანად ჩატარებას, მოქალაქეების აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მთავრობის ანგარიშვალდებულებას. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე [www.ndi.org](http://www.ndi.org)